# ივერია

გაზეთი ღირს

| თვეზე | მან. კ. | თვეზე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებით დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, გარანცოვი მეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893



## საკომერციო კურსები

### ქალებისა და ვაჟებისათვის

წელი მეთორმეტე

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვაჭრობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1893—94 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია მარტივი, ორ-კეცი და საბანკო 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი.

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდამ. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩაზე, ალთაიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიმართოს კურსების დამაარსებელს პ. მანჟელიანცს, ტფილისს. (24—9)


## ნაციონალური მუსიკა

—

როდესაც 22 წლის წინად გერმანიის ჯარმა შემუსრა საფრანგეთის მხედრობა და პარიჟი აიღო, მაშინ ფრანცუზებმა ერთ უმთავრეს მიზეზად თავის დამარცხებისა ისიც წარმოადგინეს, რომ საფრანგეთის ერს ნაციონალური მუსიკა არა ჰქონდა იმ ხარისხზე მიღწეული, როგორც გერმანელებსაო.

ვერ ვიტყვით, რამოდენად საფუძვლიანი არის ეს აზრი, მაგრამ ნაციონალურ მუსიკას ერის ასაღორძინებლად და მის სულის აღსადგენად რომ დიდი მნიშვნელობა აქვს, ეს უეჭველია. მოვიყვანთ მაგალითს იმავე საფრანგეთის ისტორიიდან.

მაშინ, როდესაც დასასრულ წარსულის საუკუნისა საფრანგეთის ერმა თავდაღმა დაამხო ერთიანად მთელი ძველი წეს-წყობილება საზოგადოებრივის ცხოვრებისა: გააუქმა მონება, გაათანასწორა ყველა წოდებათა უფლება, მოსპო თვით ეს უმაღლესი წოდება, ჩამოაგდო ტახტიდგან მეფე, დაარსა რესპუბლიკური წესი მმართველობისა ქვეყანაში და ბოლოს ამ საბრალო მეფეს და დედოფალს თავიც გააგდებინა, მაშინ მთელი ევროპა წინააღუდგა საფრანგეთს და ამხედრდა, რომ დაესაჯა ეს ერი.

საფრანგეთის ჯარი ერთი-მეორეზედ აგებდა ომს და ერთი შემთხვევაც არა ყოფილა, რომ გამარჯვებული დარჩენილიყოს.

მაგრამ ამ დიდ გასაჭირის დროს, მარსელში ერთ ახალგაზდა კაპიტანს, რომელსაც გულს უკლავდა საყვარელ სამშობლოს უბედურება დაესიზმრა ერთ ღამეს ლექსი, რომელიც გაღვიძებისთანავე დასწერა ზეპირად. ეს ლექსი მეორე დღესვე გადაღებულ იქმნა მუსიკაზედ და ისეთი გასაოცარი შთაბეჭდილება მოახდინა საფრანგეთის ჯარზე, რომ ამ დღიდან სრულიად შეიცვალა ევროპის კოალიციის და საფრანგეთის რესპუბლიკის დამოკიდებულება. ეხლა აღელვებული და გატაცებული ფრანცუზის ჯარი პირველად გამხნევებული და იმედ მოცემული პატრიოტულ სიტყვებით მარსელიეზისა—ამ ლექსსა ჰქვიან მარსელიეზ—შეებრძოლა გერმანელთა ჯარს და მოიგო სამაგალითო ქემაპის ომი.

ეს პირველი გამარჯვება იყო ფრანცუზებისა მტერზე და მეისტორიენი მიაწერენ ამ შემთხვევას იმ გარემოებას, რომ მარსელიეზის სიტყვამ და მუსიკამ ასეთი სულით აღმამაღლებელი და გამაძლიერებელი გავლენა იქონია საფრანგეთის ჯარზედ.

ვისაც გაუგონია მარსელიეზ, როდესაც იმღერის რამდენიმე ათასი [illegible] გებს, რომ საფრანგეთის მეისტორიეთა აზრი ამ შემთხვევაში, დიაღ, ჭეშმარიტია.

მარსელიეზის გაგონება სწორედ რომ იტაცებს ადამიანის აზრსა და გრძნობას და იმ წამში მისთვის დაბრკოლება აღარ არსებობს, ოღონდ-კი დაედევს მტრად ძვირფასს სამშობლოს, რომელსაც შემოსევია მტერი.

ამ გვარი მუსიკა, რასაკვირველია, ძვირფასია არამც თუ ომის დროს, არამედ მშვიდობიანობის დროსაც, რადგანაც იგი უღვიძებს კაცს გულში მაღალსა და წმინდა გრძნობას, სამშობლოს ერთგულებას და თავის შეწირვას მისის ბედნიერებისათვის.

რაღაცა მზგავსი ამ მოტივისა შეგვხვედრია ჩვენ გაგვეგონა ჩვენშიც. ერთი არის სვანური „უშგეული“ და მეორე კახური სიმღერა, რომლის სახელი აღარ გვაგონდება. ქართული მუსიკა ჯერ აკვანშია და დიდად ნაყოფიერი და სამნიშვნელო იქნება ამ მუსიკის მოვლა და ზეზე ამოყვანა. ჩვენ ვუსურვებთ ბ.ბ. ფილიმონ ქორიძეს და მელიტონ ბალანჩივაძეს, რომელიც ამ ხანად მიდის კახეთში კახური ხმების გადასაღებად, მხნედ გასძღოლოდნენ ქართულ ნაციონალურ მუსიკის საქმეს.

რამდენადაც ვიცით, ქართულის მუსიკის ხმები დიდად მოსაწონი და რასაკვირველია, სრულიად თავისებური არის, და იმას, ვინც ამ საგანს მოანდომებს თავის ერთგულ შრომას, სამშობლო დიდ მადლობას ეტყვის.

ხალხს, რომელსაც მუსიკა არა აქვს, ბევრი რამ აკლია, და ხალხს, რომელსაც-კი აქვს სა[illegible]ვები, როგორც ჩვენ არ შეენდობა, რომ ნაციონალურ მუსიკაზე ასე ცოტა ყურადღება იყოს მიქცეული.

კიდევ ვიტყვით: მთელი სურათი ერის წარმატებისათვის მარტო უნივერსიტეტით და ნამეტურ იურიდიულ ფაკულტეტით არ შემოისაზღვრება და ეს არ უნდა იქნეს დავიწყებულ.

მეველე

## ოფიციალური ცნობა ხოლერის შესახებ

აგვისტოს 2-ს პოლიციის მეექვსე განყოფილებაში ხოლერით ავად გახდა პოლიციის მოხელეს მეუღლე მარიამ სავრიევისა, რომელიც სცხოვრობდა ვორონცოვის ქუჩაზე, მეხტიბეკოვის სახლში. პოლიციამ მიხეილის სამკურნალოს ხოლერით ავადმყოფების განყოფილებაში გაგზავნა, მაგრამ ავადმყოფმა გზაში სული დალია. მარიამობისთვის 3-ს ხოლერიან ავადმყოფთა განყოფილებაში გარდაიცვალა თევდორე გრუნსკი. ამავე დღეს ხოლერით ავად გახდა ავაქოვის წისქვილში, რომელიც პოლიციის მე-9 განყოფილებაშია, ნაბერეჟნი ქუჩაზე, მუშა ფარკად ტამაევი, და იმავე საღამოს გარდაიცვალა. ხოლერით ავადმყოფი ჰენრიხ ბემლერი, რომელიც მიხ. სამკურნალოში იყო, კარგადა ხდება და დღეს გამოვა. ამ თთვის 4 მიხეილის სამკურნალოში ხოლერით ავადმყოფი იყო მარტო ერთი კაცი, ხოლო რკინის გზის საავადმყოფოში-კი—სამი. ტფილისში გუშინდლამდე ხოლერით ავად გახდა 13 კაცი, რომელთა შორის 9 გარდაიცვალა, ერთი რჩება და სამი ავად არის.

## ახალი ამბავი

—

*** ტფილისის მეორე გიმნაზიაში პირველსა და დაბალ მოსამზადებელ კლასებში მისაღები ეგზემენები დანიშნულია 23 და 24 აგვისტოს, ხოლო დამატებითი ეგზამენები მოხდება 24—28 აგვისტომდე.

# ფელეტონი

—

მოთხრობა

## სპარსელების ცხოვრებიდამ

(დასასრული *)

მირი-ხანისაგან ზუბიდას შერთვა ასე თურმე მოხდა: ისმაილ-აღა მასალაში **) დიდის ალებ-მიცემის კაცი იყო. თავრიზიდამ გამოჰქონდა ფარჩეულობა და ერთი-ორად ჰყიდდა. გამდიდრდა და გაითქვა სახელი. ერთ დღეს მირიხან იმის დუქანში სავაჭროსათვის შევიდა და მრავალი რამ იყიდა. ისმაილმა ამ ხანს თვალი აავლ-ჩამოავლო და იფიქრა: ამან რომ ჩემ ქალს თვალი როგორმე მოჰკრას, უთუოდ შეირთავსო. ადგა და სადილად სახლში მიიწვია. კარგად გაუმასპინძლდა. მერმე ოთახში შევიდა და ცოლს ჩუმად უთხრა: ზუბიდა მორთე და პირ-ახდილი ბაღჩაში ყვავილების დასაკრეფად შეგზავნე. ფანჯრიდგან ამირხან დაინახავს და უთუოდ მოიწონებს.

ეს დაწყობილობა მართლა არ გაუმტყუნდათ. ზუბიდა ამ დროს თექვსმეტის წლისა იყო და სწორედ გაშლილ ვარდსა ჰგავდა. ამ მხარეზედ სილამაზით ქალს არ უდრიდნენ. მირიხანმა უცებ ბაღჩაში გადიხედა, ზუბიდა დაინახა და ისე მოეწონა, რომ მთლად გაგიჟდა. მაშინვე იკითხა და შეიტყო, ვისი ქალიც იყო, და იმავ ღამეს იმაზედ ქებინი გაიჭრა და იმისმა მშვენიერებამ პირველი ცოლი სულ დაავიწყა. ამ ყმაწვილ ქალსაც მირიხან ძალიან შეუყვარდა, რადგან ლამაზის სახის ყმაწვილი კაცი იყო, ჯერ ოც-და-რვა წლისა თუ იქმნებოდა. რასაკვირველია, ზუბიდამ ისეც გაიგო, რომ პირველი ცოლი ჰყვანდა და ქმარს უთხრა, მანამ პირობას არ დამიდებ, რომ ის ცოლი დაითხოვო, მანამ მე შენ სახლში არ წამოგყვებიო.

ხანს შარვან-ხანუმ ძალიან ეცოდებოდა და იმის სიყვარული კიდევაც გულში უღვიოდა, მაგრამ ეს ნორჩი კოკორი ხანს სულის კოკობად გადაჰქცეოდა, ამის თვალის მოცილება და სულის ამოხდა თანაბრად მიაჩნდა...

პირობა მისცა.

ერთხელ მირიხან ზუბიდას ოთახში რომ შევიდა, ზუბიდა გამოქანდა ხარხარით და ქმარს კისერზედ ჩამოეკანჭურა და უთხრა:

— ამაღამ მე მარტოკა უნდა დაგეგდე და ის ბებრუხანა-კი გაგეხარებინა?.. ხანო! ხომ იცი, უშენოდ ერთს საათს გაძლება არ შემიძლიან. შენ ჩემთან პირობა გქონდა, რაკი შინ მომიყვანდი, შარვან-ხანუმ უნდა გაგეშო და პირობას ასე ასრულებ?!.

— ჩემო თვალის ჩინო! რა ვქნა, რომ ისიც მეცოდება, ხომ იცი, ასანხან და ალიხან ძალიან მიყვარან და მინდა ამათ პატრონად იყოს. აბა, შენ რას გიშავებს?

— იმას, რომ შენ იქ ნუ დაგიჭერს ხოლმე, ის გამაძღარია სიცოცხლის სიტკბოებით და მე ეხლა შემოვდივარ წუთი-სოფელში.

ხანმა გაიცინა და უთხრა:

— ვითომ ის-კი ხნიანი გგონია თუ? სწორედ ოც-და-ორის წლისა არის.

— რამდენისაც უნდა იყოს, რას დავდევ.

— ჩემო ზუბიდავ, მე ეხლა ლენქარანში სასამართლოში დაბარებული ვარ, ზეგ უნდა წავიდე და შენ სულ მარტოკა ხომ არ იქმნები, შარვან-ხანუმთან შედი ხოლმე.

— იმას, ვატყობ, თვალის ეკალივით ვეჯავრები და გვერდით მოვუჯდე? არა, გეთაყვა ნუ წახვალ.

— აბა, როგორ იქნება? ეს ამდენი ხანია, მე და ბაბა-ხანს მამა-პაპითვე დაწყებული მამულებზედ დავიდარაბა გვაქვს და ეხლა ორნივ დაბერებულნი ვართ. რომ არ წავიდე, არ შეიძლება;

— ხანო, მაშ მანამ შენ იქიდამ დაბრუნდები, მეც დედაჩემთან გამისტუმრე.

— რასა ყმაწვილობ? მე იქ რა დიდხანს დავრჩები, საქმე გათავდება თუ არა, აქ გავჩნდები. მეორე დღეს ამირხან ზუბიდას გამოეთხოვა, ჩაირბინა კიბეზედ, სადაც დამზადებული ცხენები დაჰყვანდათ, შეჯდა და გასწია.

**

სიცხეს ისე გაეხურებინა კარმიდამო, რომ ადამიანს სუნთქვა უჭირდა. ზუბიდამ გადაახდევინა ჩამოფარებული ფარჩის ფარდები, კარი და ფანჯარები დაალებინა, გავიდა აივანზედ და გადაჰყურებდა შორით მიმავალს ამირხანს. როდესაც ბილიკს გაჰსცილდა და ჯაგებს მიეფარა, ზუბიდას გულმა შფოთვა დაუწყო და საშინელმა მწუხარების ფიქრმა მოიცვა. ბოლოს ძლივს გამოერკვა და სთქვა: „ხანის მოშორებას ასე არაოდეს არ შევუწუხებივარ, ნეტა რას მიწინასწარმეტყველებს ეს ჩემი გული?..“ კარგა ხანს იჯდა, მერმე ისევ ოთახში შევიდა. ამ დროს ამისი მოახლე ბაგიმ შემოვიდა და მოახსენა:

— ხანუმ, ვიღაცა ბებერი დედაკაცი გახლავთ და ამბობს: „ხანს ჩემთვის დაუვალებია, რომ შაქარლამა გამომეცხო, აი მოვართვი და ის-კი წასულაო.“

— ხანმა იცის, რომ მე ტკბილე-

*) იხ. «ივერია», № 165.

**) მასალა ქალაქსავით არის, სადაც დიდი ვაჭრობაა.

*** ტფილისის წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში მისაღები და გასამეორებელი ეგზამენები დანიშნულია 26 აგვისტოს. თხოვნები მიიღება 25 აგვისტომდე.

*** ამ ჟამად ტფილისში დიდი მზადებაა 7 აგვისტოსთვის, სპარსეთის შაჰის დღესასწაულის გამო. სპარსეთის ელჩის სასახლე და სოლოლაკის მთა 7 აგვისტოს გაჩირაღდნებული იქმნება.

*** ქუთაისის გიმნაზიაში ყველა კლასებში მისაღები და გასამეორებელი ეგზამენები მოხდება 21, 23, 24, 26 და 27 აგვისტოს.

*** ამ ჟამად ტფილისში იბეჭდება სიები ქალაქის მკურნალთა, მათის ადრესებით. სიებს ქუჩებში გააკრავენ.

*** შაბათს, 7 აგვისტოს, ტფილისში დანიშნულია კრება ხალხის ჯანსაღობისთვის მზრუნველ საზოგადოებისა. კრების თავმჯდომარედ იქმნება ტფილისის გუბერნატორი თ. გ. დ. შერვაშიძე. კრება გადასწყვეტს, რა ღონისძიებანი უნდა იქმნას მიღებული ტფილისში ხოლერის წინაალმდეგ. ამბობენ, რომ კავკასიის სამკურნალო ოლქის მმართველს განზრახვა აქვს სთხოვოს კრებას, ტფილისში აკრძალულ იქმნას ზოგიერთ ხილის გაყიდვა, მაგალითად ნესვისა, ქლიავისა და სხვ.

*** 3 აგვისტოს, ტფილისიდგან გაემგზავრნენ საგუბერნიო მმართველობის წევრი ბ-ნი ე. კ. ორლოვსკი, ტფილისის მაზრის უფროსი თ. [illegible] ბ-ნი წაიჭაძე, რომელთაც ადგილობრივ უნდა დაათვალიერონ საზღვრები ტფილისისა და დუშეთის შუა, რადგანაც ამ საზღვრების შესახებ ზოგიერთ დაწესებულებათა შორის უთანხმოება მოხდაო.

*** როსტოვის გაზეთები იუწყებიან, რომ ამ ჟამად ზოგიერთი სავაჭრო კანტორები ძლიერ ბევრს თივასა ყიდულობენ საზღვარ გარედ გასაგზავნადა. ამბობენ, რომ როსტოვისა და ნოვოროსისკის კანტორებიდგან მარტო საფრანგეთს 1 მილიონ ფუთზე მეტი თივა უყიდნია თურმე. კავკავის რკინის გზის სადგურზედ უყიდნიათ როსტოვში გასაგზავნად 50 ათასი ფუთი თივა, ფუთი 23 კაპეიკად.

*** ს. იყალთო (თელავის მაზრა), 1 აგვისტოს: ვასილ მაყაშვილის ტყეში ვიღაცაც მოუკლავს ერთი ლეკი, რომელიც შეიარაღებული იყო რევოლვერით, ხანჯლით და თოფით. ეს ლეკი სოფ. რუისპირში მცხოვრებელის ლ. მესხიევის მოჯამაგირე ყოფილა, რომელიც იტაცებდა საქონელს სხვის ტყეში და ამბობდა, ჩვენის ბატონის ტყეში დავიჭირეო, და ამით სარგებლობდა საქონლის დასახსნელ ფულით. ამ ლეკს დაშინებული ჰყოლია ორის სოფლის დედაკაცობა, და ბავშვები იმის შიშით დღითაც ვერა ჰბედავდნენ ტყეში წასვლას. დედაკაცობა ბევრს ცუდს ლაპარაკობდა ამ ლეკზედ. გლეხ-კაცობაც და მემამულენიც ამგვარ ტაციაობით მობეზრებულნი იყვნენ. გამომძიებელი წავიდა ექიმით გვამის გასაჭრელად, მაგრამ სიცხეების გამო გვამს სუნი დასცემოდა და ექიმს ებრძანებინა იქვე დაემარხათ. ეხლა მოუპარავთ თურმე ლეკის გვამი და წაუღიათ. არ იციან-კი ვინ წაიღო.

*** სოფ. ხუმელაგა (კავკავის მაზ.): ხუმელაგაში მუცლის ტკივილ-ფაღარათობამ იჩინა თავი, და ზოგთ პირსაქმობაც აქვთ. თუმცა დაზარალებით ჯერ არავინ დაუზარალებია მაგრამ საშიშია მაინც და ურიგო არ იქნება ყურადღება მიაქციონ, [illegible] ფები და ხალხს შესაფერი დარიგება მისცენ.

*** კავკავი: ცამეტს ამ თთვეს მიაბარეს გაუმაძღარს მიწას პატივცემული მღვდელი მიხეილ სუხიევი. განსვენებული ტომით ოსი იყო, და დიდი შრომა და ღვაწლი მიუძღოდა ოსებში ქრისტიანობის გავრცელების შესახებ. დიდი მამა-შვილური სიყვარული ჰქონდა დამსახურებული კავკაველ ქართველობაში, რომელთაც ღირსეული პატივი სცეს დასაფლავების დროს.

*** სოფ. ბათაყო (კავკავის მაზრა): სოფელი ბათაყო ამ ჟამად დიდს გასაჭირშია ჩავარდნილი. საქმე იმაშია, — რომ ამ სოფელს, რომელშიაც 300 მოსახლეზედ მეტია, ერთი პატარა წყალი ჩამოუდის, რომელიც სიცხის დროს ზაფხულობით ძრიელ კლებულობს ხოლმე. წელს-კი უფრო ძრიელ გაჭირებაში ჩავარდა ეს სოფელი. მთელი მკათათვე ძრიელ სიცხეებით თავდება. ამ სიცხებმა ეს პატარა წყალი თითქმის სულ დააშრო, სოფელში აღარ ჩამოდის, მხოლოდ სათავეში-ღა გამოდის. დიდს საცოდაობაშია პირუტყვი და საქონელი უწყლობის გამო; ხარ ძროხის ბღავილი ლახვარივით ხვდება კაცის გულს. ხალხი სათავეში მიდის წყალისთვის. იქ ერთი აყალ-მაყალი ჩხუბი და ხან თავის მტვრევაც არის ხოლმე. შარშან მთავრობას ამ სოფელმა თხოვნა მიართვა, სხვაგან გადაგვასახლეთ სადმეო, მაგრამ ჯერ არაფერი ამბავი მოსვლიათ.

*** სოფ. ვარძია (შორაპნის მაზრა), 2 აგვისტოს: სოფელი ვარძია ერთი მიყრუებულ სოფელთაგანია შორაპნის მაზრაში, ხალხსაც აქ ბევრად დაქვეითებულს და უკან დარჩომილს ხედავთ სწავლა-განათლებით, შედარებით სხვა სოფლებთან. ვარძიაში ოთხასამდე კომლია. ათ-ხუთმეტს სახლობაში იქნება ერთი ისეთი იყოს, რომელსაც ხელის მოწერა შეეძლოს. სწავლა-განათლებით, გარდა აქაურ გლეხებისა, არც აზნაურები არიან სანატრელს მდგომარეობაში... ცხოვრების მიმდინარეობა მეთვალყურეს [illegible] ხამებს. ამიტომ მეტად სასიამოვნო ამბად უნდა ჩაითვალოს ამ სოფელში სამრევლო სკოლის დაარსება...

ეს სკოლა, ჯერ ერთ კლასიანია, თავისი საკუთარი შენობა აქვს, მასწავლებლის ოთახითურთ, და ყოველივე მოწყობილობა. ერთის ეპარქიის სამოსწავლო რჩევამ ახლად დაარსებულ სკოლას გამოუგზავნა 200 ცალამდე სხვა-და-სხვა წიგნი, სინოდის განკარგულებით გამოცემული, და მასთანავე 20 მ. ფულად. სკოლა თუმცა გვიან გაიხსნა, მაგრამ შეგირდები მაინც 40 შეიკრიბა. მომავლისთვის იმედია, შეგირდების რიცხვი ერთი-ორად იმატებს.

*** 3 აგვისტოს ოლგას ქუჩაზე ახლად დაბადებული მიგდებული ბავშვი იპოვნეს და საბებიაო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

*** ამავე დღეს კიდევ იპოვნეს მიგდებული ბავშვი რკინის გზის სადგურის ბაღში და ისიც საბებიაო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

*** ფოსტა-ტელეგრაფის მოხელემ ტრეტიაკოვმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ 3 აგვისტოს ორბელიანის ქუჩაზე ჩემის სახლის წინ ახლად დაბადებული მიგდებული ბავშვი ვიპოვნეო. ბავშვს ბარათი ჰქონდა, რომელშიაც ეწერა: მიჰხედეთ, ობოლია. მონათლულია წლინახევრისაა და სახელად ზინაიდა ჰქვიან. ბავშვი ტრეტიაკოვმა აიყვანა ალსაზრდელად.

## წერილი ლივანიდგან

### II

მთელს დევე-სქელის ხეობაზე ყოველს სოფელს თავისი ჯამე აქვს; სადაც ათი კომლია, იქაც-კი კერძო ჯამე არსებობს და ჯამეს გვერდით — პატარა სასწავლო ოთახი. მხოლოდ ყველა სოფელს-კი არა ჰყავს თავთავის საკუთარი ხოჯა, მთელს ხეობაზე სულ ოთხ-ხუთ ჯამეზე იქმნება ხოჯა და მოლები; დანარჩენნი ისე არიან დატოვებულნი. სადაც მოლა და ხოჯები არ არიან, იქ სოფლის ჯამეს კარები ღია არის, შიგ თხები და ხბორები შედიან და აუწმინდურებენ ყველაფერს. მე ასეთ მდგომარეობაში მყოფი ჯამეები რამდენსამე სოფელში ვნახე და ძლიერ გამიკვირდა, რომ სარწმუნოებით თითქო ფანატიკი ხალხი არაფერს ყურადღებას აქცევს ამას. ჩვენ რომ რიგიანი მქადაგებლები გვყვანდნენ, მაშინ ამ ხეობაში ყველაზე ადრე მოჰფენენ სწავლას. აქაურნი დღეს, რასაც-კი ნახავენ, იმას მალე დაუახლოვდებიან. ამაზე მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს უპატრონო ხალხი პატიოსნურს მოძღვრებას ძლიერ ადვილად აჰყვება და შეითვისებს. ამისათვის პეტრულის ეკლესიის განახლებაცა კმარა.

მთელს ამ ხეობაში წერა-კითხვის მცოდნეს კაცი იშვიათად შეგხვდება. ამათში მოლებისა და ხოჯების გარდა წერა-კითხვა არავინ იცის, არც ოსმალური და არც ქართული. ამათი სამშობლო ენა ქართული ენა არის. ბავშვები ძლიერ ცქვიტნი და მალხაზნი არიან. ამათ რომ პატრონი ჰყვანდეთ, მაშინ ერთ თთვის განმავლობაში ესენი ქართულს ანბანს კარგად დაისწავლიან. აქა-იქ იხვეწებიან, რომ ეგები მოხვიდეთ და გვასწავლოთო.

ამ ხეობის ყოველს სოფელში კაცი უეჭველად ნახავს ძველ ეკლესიის ნანგრევებს, ზოგს ნახევრად დაქცეულებს, რომელთაც წარწერა, ან სხვა რამ ნიშნები აღარაფერი შერჩენიათ. ზოგში ორის ეკლესიის ნანგრევიც არის და ქვებიც იქვე ჰყრია. ზოგი ნანგრევი-კი ტყით შებურულა და დამალულა.

აი აქეთ რა სოფლებია პაწა მთიდგან ქოროხამდე:

1, ბაგინი, 40 კომლი, გადასახლდა 20 კომლი. აქაური ეკლესია ბათუმის ფაშის ბრძანებით 1840 წლებში დაუქცევიათ. ლაპარაკობენ ქართულად. ეკლესიიდამ გვირაბია ჩაყვანილი დევე-სქელის წყლამდის.

2, დევე-სქელი, 80 კომლი. გადასახლდა 20 კომლი. სჩანს ეკლესიის ნანგრევი.

3, ცანათისი, 3 კომლი. გადასახლდა 10 კომლი.

4, ოხორჯინი, 5 კომლი, გადასახლდა 8 კომლი. აქ სჩანს ეკლესიის ნანგრევი.

5, ვალაშია, 10 კომლი, გადასახლდა 5 კომლი. ამ სოფლის მთას დათვის საწოლს უწოდებენ. აქვე არის ეკლესიის ნანგრევი.

6, შუა-ხევი 15 კომლი, გადასახლდა 6 კომლი.

7, ბანაკა, 4 კომლი. გადასახლდა 3 კომლი. სძევს წაბლნარა მთის ძირს.

8, სამახრეო, 3 კომლი. გადასახლდა 6 კომლი.

9, არვეთი, 8 კომლი. გადასახლდა 4 კომლი.

10, ნიგია, 10 კომლი. გადასახლდა 5 კომლი. ნიგიის მთაზე ეკლესიის ნანგრევი სჩანს.

11, ებრიკა, 12 კომლი. გადასახლდა 4 კომლი. ნიგიის მთაზე ეკ-

---

ულება მიყვარს და ჩემთვის ენდომებოდა, აბა მოიტა როგორია.

ბაგიმ გაიქცა დ შემოარბევინა ხელცახოცში გამოკრული. ზუბიდამ თავის ხელით გახსნა და გაკმარებითა სთქვა:

— ეს ერთი?! კბილის ქარათაც არ მეყოფა, უთხარ ბლომად გააკეთოს და კარგ საჩუქარს მივცემ.

— უთუოდ ნიმუშად გაუკეთებია და, თუ მოგეწონებათ, ბევრს დააცხობს.

ბაგიმ რომ მიდიოდა, ზუბიდამ დაუძახა:

— ასან-ხან და ალი-ხან შემომგვარე, ტკბილეულობაზედ მაინც შევიჩვიო.

ბაგიმ რომ გავიდა, ზუბიდამ შაქრის პური გატეხა და რომ შეჭამა სთქვა: „ოჰ, მართლა, რა გემრიელია! მირიხანის წასვლით მადა მაქვს დაკარგული, თორემ ამისთანას ოთხს შევჭამ.“

ამ დროს ბაგიმ ხელ-მოკიდებული ასან-ხან და ხელში აყვანილი ალიხან შემოიყვანა და სთქვა:

— ხოჯა ბაღში ათამაშებდა და ისე წამოვიყვანე, შარვან-ხანუმს და ჯაჰანას არც-კი დაუნახავთ.

— მერე რა არის? შევჭამ!

— არ დამანებებენ ხოლმე — და!

ზუბიმ ჯერ ასან-ხან დაჰკოცნა, მერმე ალი-ხან, გვერდით დაისხა და მოუმტვრია შაქრის პური. ბავშვებმა სიხარულით ჭამა დაუწყეს და ზუბიდამ უთხრა:

— რომ მცოდნოდა, შემოხვიდოდით, იმ ნახევარსაც მე არ შევჭამდი. ამას იქით რამდენიც ჩემთან შემოხვალთ, იმდენს გაჭმევთ.

ზუბიდა კარგა ხანს ამ ბავშვებს ეალერსებოდა და ესენიც ეტიტინებოდნენ. ზუბიდამ გუნებაში სთქვა: საკვირველიც არ არის, რომ ხანს ამათი მშობელი ეცოდებოდეს. ახ ღმერთო! ერთი ამათთანა მე როდისღა მეყოლება? ქვევიდგან ჯაჰანას ხმა მოესმათ, რომ ხოჯას უჯავრდებოდა.

— ბავშვები სად არიან? რა უყავ?

— რა გაყვირებს? ბაგიმ არ წამოიყვანა? ზუბიდამ რომ გაიგონა, მოახლეს უბრძანა:

— წაიყვანე, თორემ ახლა შარვან-ხანუმიც გამოვარდება და აქაურობას აიკლებენ.

ბაგიმ ორნივ გაარბევინა.

საათ-ნახევარი არ გასულა, რომ ალი-ხანს პირს საქმობა დააწყებინა და ჯაჰანას კალთაზედ გადაიქცა. ჯაჰანამ ეს ბავშვი შარვან-ხანუმთან შეარბევინა და დაიწყო ყვირილი:

— მიშველეთ, ბავშვს ეს რა მოსდის?

შარვან-ხანუმმა ბავშვი მკლავებზედ გადაიწვინა და მოჰყვა ღრიალს: „ჩქარა ექიმ-ბაში, მიშველეთ“. გააქცივეს ექიმთან ცხენიანი კაცი, ალიხან დედას გულზედ მიეცქნაფა და ძალზედ წიოდა. „ვაი, ვაი, დედი, მოვკვდი.“ თან პირიდან და ტანიდან მწვანედ ასაქმებდა. მაყურებელს იმის ცოდვით ჯანი დაადნებოდა. ორის საათის განმავლობაში ბავშვი მთლად გაცივდა, თვალები ჩაეხოცა, სულთბრძოლა დაიწყო. გამწარებული შარვან-ხანუმ ჰყვიროდა:

— ვინ მომიკლა შვილი? რა დაალევინეთ? რა აჭამეთ?

— რა უნდა გვეჭმია, სთქვა ჯაჰანამ, დილას პატარა ქათმის ნაჭერი ჭამა. დაიწყო ახლა ასან-ხანმა:

— დედი, დედი, მიშველე დავიწვი, ვაი მუცელი, მუცელი!.. მოაყოლა ახლა ამას საქმობა, რამდენიც პირ-საქმობა გადაუვლიდა დედას, ებღაუჯებოდა და თან ტიტინებდა;

— ნუ მომკლამ დედილო! მოვიდეს მამა, ის მომალჩენს, შენ არ იცი. ჯაჰან! მიშველე!... მსახურმა მარდათ ექიმი მოიყვანა. შემოვიდა თუ არა, რასადროს ბავშვები ნახა, სთქვა:

— ვის მოუწამლავს? აბა ეხლა მე ამათ რაღა ვუშველო?!

— სწორედ ზუბიდამ მომიწამლა, შეჰყვირა შარვან-ხანუმმა, წავალ ეხლავ დავარჩობ. მაგ უნამუსომ ქმარი წამართვა და შვილებიც დამიხოცა?!. რომ უნდა გავარდნილიყო, ექიმმა ხელი ჰსტაცა და დაიჭირა. ის იყო ზუბიდას მოახლეც მოიჭრა და სთქვა:

— არიქა, ექიმბაშო, გვიშველე, ზუბიდა-ხანუმ ხელიდამ გვეცლება.

მაშინ მიჰხვდა ჯაჰანა, ეს უბედურება საიდამაც მოხდა და წაიშინა თავ-პირში ხელი და გუნებაში ჰფიქრობდა; იმ შეჩვენებულს სიძულვილის მაგივრად განა საწამლავი მოუცია?!. ექიმმა წამალი გააკეთა, ასანხანს ძლივს პირში ჩაასხა, მაგრამ იმავ წამს ისევ ამოასაქმა. გონება დაეკარგა და მთლად გალურჯდა, ექიმი ეხლა ზუბიდას ოთახისაკენ გაიქცა, იმას მაინც წამალი მივასწროვო. რომ შევიდა, ზუბიდაც საშინელი სანახავი იყო: შაშვივით პირი დაეღო, ენას გარედ აგდებდა, თვალები ბუდიდგან გადმოცვივნას ულამოდა, გალურჯებული, თმებ გაწეწილი ეგდო და ჰყვიროდა:

— დავიწვი, დავიწვი, ვაი, მირიხან! მოდი მიშველე, მომკლეს!.. ოჰ, საცოდავო, დედაჩემო! ჩემი ნახვა აღარ გეღირსა!.. ექიმი დარწმუნდა, რომ ეს სამნივ ერთ ნაირად არიან მოწამლულები, და დაეკითხა ზუბიდას;

— რა მიირთვით?

იმას პირსაქმობა მოუვიდა და იმის მაგივრად ბაგიმ მიუგო:

— არ ვიცი, ვიღაც ბებერმა დედაკაცმა შაქარლამა მოართო, თითონაც მიირთვა და ბავშვებსაც მისცა.

— აღარა დარჩა-რა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლესიის ნანგრევის ქვებია დაშთენილი.

12, მამა-წმიდა, 3 კომლი. აქედამ რამდენი კომლი გადასახლდა, ეს კარგად აღარავის ახსოვს, რადგანაც ამათი გადასახლება ამათისავე სიტყვით 1880 წ. მომხდარა. ამავე სოფლის მთის ძირს არის პატარა ეკკლესიის ნანგრევი.

13, ღნია, 8 კომლი, გადასახლდა 3 კომლი.

14, ადაგული, 30 კომლი. გადასახლდა 20 კომლი.

15, პეტრული, 12 კომლი, გადასახლდა 7 კომლი. ამ სოფელში სდგას ზემოდ აღწერილი ეკკლესია.

17, კვარცხანა, 15 კომლი, გადასახლდა 10 კომლი.

18, სინქოთი, 18 კომლი, გადასახლდა 12 კომლი.

დევე-სქელის ხეობის ჩრდილოთ ჩამოდის ჭოროხი. ჭოროხის ნაპირს გაპნეულია შემდეგი სოფლები ქართველთ მაჰმადიანებისა, სადაც ქართული ენა სუფევს.

19, არხვა, მურღულის წყლის გვერდით, 7 კომლი. გადასახლდა 15 კომლი. ჯამე აქვთ.

20, დამპალა, 8 კომლი, გადასახლდა 6 კომლი:

21, ორჯი, 20 კომლი, გადასახლდა 25 კომლი.

22, ავანა, 8 კომლი, გადასახლდა 5 კომლი.

23, თხილაძვა, 10 კომლი, გადასახლდა 7 კომლი. აქ არის პატარა ეკკლესიის ნანგრევი.

24, კასტლა, 20 კომლი, გადასახლდა 10 კომლი. ამ სოფლის მთიდამ სჭრიან წისქვილის ქვებს.

25, წითურეთი. მთლად გადასახლდა. ეს სოფელი ბორჩხის ახლოს სძევს. სოფლის წინ, ჭოროხის ნაპირას, ერთ პატარა კლდეზე დიდი კოშკი სდგას, ამ კოშკს თამარ მეფის კოშკს უხმობენ.

26, ბორჩხა, დაბა, წითურეთს აქედ, ძველად ფორჩხად წოდებული. 30 კომლი, გადასახლდა 25 კომლი. ორი ჯამე აქვთ. აქ არის რამდენიმე სავაჭრო დუქანი. ჭოროხიდგან ჰანეთისკენ, ერთს კლდეზე სდგას ერთის ციხის ნანგრევი. აქვე სცხოვრებს თ. ივ. ჯაიანი, რომელმაც აქაურს ქართველთ მაჰმადიანთა ბავშვებს წერა-კითხვა დააწყებინა. სამს ბავშვს „დედა ენიდამ“ რამდენიმე ფურცელიც შეუსწავლია. ზოგი მათგანი მშვენივრად კითხულობს და სწერს ქართულს; ესენი ბორჩხის ხოჯასთანაც დაიარებიან სასწავლოდ და მასთან თათრულს ანბანს და ლოცვებსაცა სწავლობენ. „დედა ენას“ ერთ სულთან ატარებენ. ამათ ძრიელ მოეწონათ ლ. ალნიაშვილის ანბანები, ალტაცებაში მოვიდნენ, დიდად მოეწონათ „მოლა მასრედ ხოჯას“ ზღაპრები და ზოგიერთი ქართული წიგნები. ამ ბავშვებმა „ბუნების კარი“ ითხოვეს. ამათ გარდა პატივცემულ თ. ივ. ჯაიანთან ხუთს კიდევ სხვა ბავშვებს დაუწყვია ეხლახან სიარული და ანბანის სწავლა. დღითი-დღე უფრო მატულობს, კითხვის მსურველთა რიცხვი.

27, თელას-ყური. ეს სოფელი სძევს ბორჩხის აღმოსავლეთით, თელას ყურის ხეობის ნაპირს. 60 კომლია. მთელს ამ სოფლის ხეობიდამ, ე. ი. თელას-ყურის ხეობიდამ, 100 კომლზე მეტი გადასახლებულა. ამ სოფლის ხეობის ბოლოს, ჭოროხის ნაპირს ერთ პატარა მთაზე პატარა ეკკლესია სდგას; ამ ეკკლესიის წინ ძველი ხიდია, რომელსაც თამარ მეფის ხიდს უწოდებენ.

28, არჩუეთი. 5 კომლია, გადასახლდა 30 კომლი.

ერთ მთაზე პატარა დაქცეული ეკკლესიის ნანგრევები სჩანს.

29, ჯვადუეთი. 4 კოლი. გადასახლდა 20 კომლი.

30, კინწყურეთი, 5 კომლი, გადასახლდა 40 კომლი.

31, ცოცხება. 6 კომლი, გადასახლდა 30 კომლი.

32, ზედ-უბანი. 12 კომლი, გადასახლდა 25 კომლი.

33, მურკეთი. 5 კომლი, გადასახლდა 15 კომლი.

34, შუბაანი. 10 კომლი, გადასახლდა 20 კომლი.

35, ნადარბაზევი. 15 კომლი, გადასახლდა 20 კომლი. ნადარბაზევის ახლო-მახლო მთებზე სამი პატარა ეკკლესიის ნანგრევია.

36, ბურდუხეთი. 3 კომლი. გადასახლდა 20 კომლი.

37, საბაური. 15 კომლი, გადასახლდა 15 კომლი.

38, გორგაული. 10 კომლი, გადასახლდა 10 კომლი.

39, ქესტაში. 3 კომლი, გადასახლდა 12 კომლი.

40, ხინწკარა. 10 კომლი, გადასახლდა 20 კომლი.

41, ოლდაური. 19 კომლი, გადასახლდა 30 კომლი.

42, ჯონკურეთი. 5 კომლი, გადასახლდა 25 კომლი. ამ სოფელთან თავდება ლივანის დასაწყისი, რომელიც მარადიდს ზეით სძევს, აღმოსავლეთით.

ართვინის ახლოს სამ-ოთხს სოფლის ქართველ მაჰმადიანებს ქართული ენა დავიწყებიათ. ამ სოფლებს ჩვენ აქ არა ვწერთ. სახელებიც გადუმახინჯ-გადუთათრებიათ. ლივანის ყურძენი აქეთ ძრიელ გათქმულია, მაგრამ დღეს ეს აქეთ მარტო ართვინის ახლო-მახლო-ღა მრავლობს და მოდის ისე, როგორც ძველად ყოფილა. ღვინოსაც აყენებენ. აქ მევენახობას მხოლოდ ართვინის სომეხ-კათოლიკენი მისდევენ, რომელნიც დროთა-ბრუნვის მეოხებით ენითა და გვარ-ტომობითაც სრულიად გასომხდნენ, თორემ ამ 200 წლის წინად ესენიც ისეთივე ქართველები იყვნენ, როგორც ტფილისის და გორის ქართველ-კათოლიკენი. ეკკლესიაში სომხური ენის ხმარებამ ეს ასე მოახდინა და დღეს აქაურს ქართველ-კათოლიკეებს თავიანთ სამშობლო ენისა მხოლოდ 1—2 თვლა-ღა იციან და ნათესავების სახელ-წოდება, მაგალითად: ძია, სიძე, მამიდა და სხვანი.

ლივანას დასავლით ჰანეთი უძევს, ანუ ლაზისტანი. ლაზისტანის რამდენიმე სოფელიც ეკუთვნის ლივანის ნაწილს, რომლებიც აქ არ არის მოხსენებული. აქ არის მხოლოდ მოყვანილი ის სოფლები, სადაც ქართული ენა შეურყევლად სუფევს, სადაც სამშობლო ენად ქართული ენა არის მიღებული, სადაც იმედია, რომ დღითი-დღე ქართული წერა-კითხვის მცოდნენიც გამრავლდებიან. თუ სასწავლებლები დაარსდა, მაშინ ხომ ფიქრი აღარ უნდა, რომ 10 წლის განმავლობაში აქ ქართული ანბანი საკმარისად წინ წავა.

ბორჩხაში მცხოვრებ ქართველ მაჰმადიანმა ბ-მა გელაძემ წარმოსთქვა, რომ ერთი ჩვენი უბედურება ის არის, რომ რჯული და გვარ-ტომობა ვერ გაგვირჩევია. ჩვენმა კაცმა არ იცის, რომ ის ტომით, ენით ქართველია და რჯულით მუსულმანიო. ეს ჩვენი ქვეყანა არის, საქართველოა, ჩვენც ქართველები ვართ, მაგრამ რა ვქნათ, რა ვყოთ, ჩვენმა მოლებმა და ხოჯებმა ვინ არ გადარიეს და ვის არ შეუშალეს ცხოვრებაო. ეს კაცი ოსმალოს დროს სამსახურშიაც ყოფილა და ჩვენის ქვეყნის ბევრი ძველი ამბებიც კარგად იცის. ეს ამბობს, მე არავის ვეტყვი, რომ თათარი ვარ, არამედ ქართველი მაჰმადიანიო. ჩვენ სწავლა-განათლების მეტი სხვა ველარა გვიშველის. ჩვენში ძველად ბევრნი იტყოდენ, როს ეს ქვეყანა ოსმალოს სამუდამოდ არ დარჩება, ისევ ძველებურად საქართველოს შეუერთდებაო. ამის ეშინოდათ ჩვენ ხოჯებს და მოლებს, და ძველი თქმულება-კი მაინც შესრულდა, ღვთის განგებითაო.

ზ. ჭ.

## წვრილი ამბავი

ევროპის სამხედრო კაცთა შორის ძლიერ გახშირებულია თავის კვლა. ავსტრიაში ყოველ წლივ 100,000-ში იკლავს თავსა 131, გერმანიაში იმავე რიცხვში 61—67 თავის მკვლელი მოდის, იტალიაში 40, საფრანგეთში 29, ისპანიაში 14. ინგლისისა და საფრანგეთის კოლონიებში უფრო გახშირებულია ეს სენი.

— ლომბროზომ გამოსცა ერთი წიგნი, სადაც მოყვანილია აზრი გამოჩენილ იურისტთა იმის შესახებ, დამნაშავე უნდა მიეცეს პასუხის გებაში თუ არა. ამ წიგნში მოყვანილია აზრი საფრანგეთისა, იტალიისა, ბელგიისა და რუსეთის მწერალთაც. კაროფალო ამბობს, რადგანაც დამნაშავეს ბუნებითვე დაყოლილი აქვს ალღო ავ-კაცობისა, მისი ბუნება მოკლებულია თანაგრძნობისა და პატიოსნობის გრძნობას. ამისათვის უსაფუძვლო იქმნება პასუხის გებაში მიცეთ ის, რადგანაც მისი საქციელი ბუნებრივია, ძალა დაუტანებელიო.

ლევი-ბრიული აგრეთვე ამტკიცებს, რომ ავაზაკთ ბუნებითვე დაყოლილი მიდრეკილება და მისწრაფება აქვთ და დანაშაულობას მოუსაზრებლად ინსტიკტიურად ჩაიდენენ ხოლმეო. ისინი მოკლებულნი არიან ყოველ გვარ მორალსაო. ამ უკანასკნელ სიტყვის სიმართლეს ლევ-ტოლსტოიზედ მივაგდებო—ამბობს ლომბრაზო.

— ვენგრიაში ამას წინად აღმოაჩინეს ერთი უცნაური საზოგადოება “ცოლნიმომწამვლელნი“. საგანი ამ აზოგადოებისა გახლავთ ქმრების ხოცვა-ჟლეტა. თურმე უთვალავი რიცხვი ქმრებისა გაუსტუმრებიათ საიქიოს, წაიღსაშინა აბარამოსასა. ამ საზოგადოების დამაარსებელი ოცდაორის წლის ქალია, ქვრივი, გვარად ტუმარი. პოლიციამ მიაგნო კვალს ამ საზოგადოებისას და თვით ტუმარიც დაპატიმრა, მაგრამ ვერას გზით ვერ გაუგია, თუ ეს რა საწამლავი უნდაიყოს, რომელიც ასე ჩუმად უსპობს კაცს სიცოცხლეს.

— თუ პარიჟში რავდენად სიძვირეა ყოვლისფრისა, სჩანს იქიდგანაც, რომ პარიჟში ოთხკუთხის მეტრის დახატვა კედელზედ 500 ფრანკი ჰღირს, დანარჩენ ქალაქებში-კი მხოლოდ 250 ფრანკი. პიუვი დე-შავანმა ახალ სორბონის დარბაზის მხატრობაში 35,000 ფრანკი აიღო. ფლამენგმა და შარტანმა—40,000 ფრანკი თითომ, იმავე შენობის უმთავრეს კიბის ჩუქურთმაზედ.

## წერილები რედაქციის მიმართ

### I

უმორჩილესად გთხოვთ, ნება მიბოძოთ თქვენის პატივ-ცემულ გაზეთ „ივერიის“ შემწეობით გულითადი მადლობა გამოვუცხადო საბერძნეთის კიკოს მონასტრის არქიმადრიტს, ღირს ნიკანდრის, რომელმაც დაუთმო რწმუნებულს ჩემდამი სკოლას ადგილი, რაზედაც ეხლა სკოლა არის აშენებული; ამასთანავე შემოსწირა ღვთის მშობლის ხატი, ღირებული ოთხ მანათად, და აღგვითქვა ყოველწლობით მონასტრის მთიდგან (მთელი ვარძია სამონასტრო მამულია) შეშით, ფიცრით და ყავრით დახმარება. მადლობას ვუძღვნი აგრეთვე ბლაღოჩინ დეკანოზ დ. ღამბაშიძეს, რომელმაც შემოსწირა ვარძიის სკოლას მთელის წლის რუსული და ქართული ჟურნალის

— არა, ერთი იყო და იქმნება ალი-ხანს ჯიბეში კიდევ შერჩენოდეს. გავიდა ექიმი და მართლა ბავშვის ჯიბეში პატარა ნატეხი იპოვნა, მიუგდო ძაღლს და საათ-ნახევარში სული ამოხდა.

შარვან-ხანუმ, შვილების მაყურებელი გამწარდა, თმები დაიგლიჯა, ლოყები ჩამოიკაწრა, გულ-მკერდ გადაღეღილი ხან ერთს შვილს მიიკრავდა, ხან მეორეს და თან ჰყვიროდა:

— აბა ნუ გამაცოცხლებთ, მაშ რაღა შარვან-ხანუმ ვიქმნები, იქ ზუბიდას არ დავარჩობ.

ალაჰის მადლმა, ეფიცებოდა ექიმი, ზუბიდაც ასე მოკვდა.

— სტყუი! ის მარიხანმა თან წაიყვანა, მეც იქ უნდა წავიდე.

გამოვარდა გარედ, კიბე ჩაირბინა და დაეშვა ბილიკისაკენ. მაშინ ექიმმა შენიშნა და სთქვა, შარვან-ხანუმ სწორედ ჭკუაზედ შესცდაო. მოსამსახურეებმა დაიჭირეს საცოდავი და სახლში შეამწყვდიეს. მაგრამ იმის წივილის ხმა ცამდის აღიწეოდა, ტიროდა, ჰყვიროდა, ილანძღებოდა და ხან ხარხარებდა. ეს საშინელი შესაზარავი უბედურება მირი ხანს აცნობეს. მეორე დღესვე მოიჭრა, თავისი საყვარელი ზუბიდა და შვილები ერთად დამცხედრებული რომ ეწყო, ხანი მთლად გადაირია, მოსთქვამდა, ღრიალებდა:

— ვინ დამღუპა? ვინ დაამხო ჩემი ოჯახი? თუ ჩემი მტრობა ჰქონდა ვისმე, რატომ მე არ მომკლა?!. მოსამსახურეებს თითო-თითოს წაავლებდა ხელს და ჰკითხავდა:

— სთქვით ნუ მიმალავთ, ვინ დამიხოცა?

— არ ვიცით, ალაჰის მადლმა, იძახდნენ სუყველანი. ექიმი წამოდგა და რაც ენახა, უამბო. მაშინ ადგა და შარვან-ხანუმის სანახავად შევიდა. იმან რომ ქმარი დაინახა, შესწივლა:

— ვაიმე, ვინ არის ესა?

— ველარ მიცან? შენი მირიხან!

— წადი, წადი, შენ დამიხოცე შვილები? რა დაგიშავე?—დაიწყო ტირილი, მერე გონს მოვიდა: არა, მართლა, შენიჭირიმე, ხანო! გამიცოცხლე, ზუბიდამ მომიწამლა, ჰოო, მე ის უნდა დავარჩო. მივარდა ხანს და წაუჭირა ყელში, ხანი ხელიდგან ძლივს გამოუსხლტა და კარები მიიხურა.

იქიდან რომ მოდიოდა, ხოჯა წინ დახვდა და მოახსენა:

— რომელმაც შაქარლამა ბაგის მისცა, ის დედაკაცი თითონ მე ვნახე, ჯაჰანას დაა არის.

ამირ-ხანმა მაშინვე ის ბებერი მოათრევინა და შეუჭყივლა:

— ბებერო, რად დამიხოცე ცოლშვილი? სისწორით მითხარ, თორემ ეხლავ ცხენის ძუაზედ მოგაბამ და ლუკმა-ლუკმად დაგაჩქლეთინებ.

ბებერი შეშინდა, გამოტყდა და სთქვა:

— მე რა ვიცი, ჩემი დაა ჯაჰანა შემეხვეწა: შაქრის პური გამოაცხე, ეს წამალი შიგ გაურიე და ხანი რომ წავიდეს სადმე, ზუბიდას შენად მიართვი, შეჰსჭამს, ქმარს შესძულდება და ისევ ჩემი გაზრდილი შეუყვარდებაო.

ამირ-ხანმა ამას თავი გაანება და ჯაჰანას დაუძახა, იმას ხანის განრისხებისა არ შეშინებია, გარკინებული გამოვარდა, თავ-პირ გადაბდღვნილი, და მოჰყვა ყოველსავე დაწვრილებით, როგორც რამ მომხდარიყო.

ამირ-ხანმა ამასაც აღარა უთხრა-რა, ცხენები მოაყვანინა, შეჯდა, თან სამი მსახური იახლა და გასწია ლუდ-ქარას. მივიდა იმ კაცთან და ამანაც განგებ მოიგონა, ვითომ უნდა აკითხვინოს. როდესაც ჯერი ერგო და შევიდა, იმან ჩვეულებრივ ხელ-პირზედ წყალი გადაასხმევინა და უთხრა:

— აბა შენი დარდი სთქვი, რომ ისე გეკურნოს. მაშინ ამირ-ხანმა უპასუხა:

— შენ რომ ამა და ამ დედაკაცისათვის წამალი მიგიცია, მეც სწორედ იმ წამლისთვის მოვედი, მე იმის მეტი არა მინდა-რა. სალიმმა სთქვა:

— ეგ ხომ ადვილი არის და ადვილი, თუ-კი ღირებულ ფასს გაიმეტებ.

ხანმა ერთი ქისა ამოიღო და გადაუგდო, რომელიც გაიხსნა და სულ ყვითელი ოქროები გადიშალა. —გეყოფა?

ამ კაცს სიამოვნისაგან თვალები გაუბრწყინდა და სთქვა:

— მეც მაგრე ბლომად მოგცემ. მჩ ვრები გახსნა, ამოიღო და რაც წამალი ჰქონდა, შუა გაუყო და მისცა. მაშინ ხანი მარდათ წამოხტა, ბიჭებს დაუძახა:

— დაიჭით ეგ არამზადა და ეს წამალი სულ პირში ჩააყარეთ.

მსახურებმა ეს კაცი გადააქციეს, პირი ძალათ დააღებინეს და ხანმა თავის ხელით ჩააყარა, ყელზედ ხანჯალი დააბჯინა და უთხრა:

— თუ ერთი ცვარი პირიდამ გამოგიღვრია, ეხლავ თავს გაგაგდებინებ.

მანამ წამალი იმოქმედებდა, ისე გაკავებული ეჭირათ. მერე აიღო ხანმა ის კოლოფი გააღო და ნახა, რომ ფეჰანბრის მაგივრად კოლოფიდან ხარაბუზა ბზუილით-კი ამოფრინდა. შემდგომ აიღო ჯამი და წკეპლი და იმით სულ თავში ურახუნა, მანამ სიკვდილზედ მიიყვანდა. მაშინ გაანება თავი. შემოვიდნენ ისინიც, ვინც იქ ხალხი უცდიდა და ამის მნახველნი დარწმუნდნენ, რომ ხალხს ატყუებდა და ერთმანერთს ახოცვინებდა.

ბარბარე ჯორჯაძისა

გამოცემანი და ოცდახუთი ცალი სადმთო სჯულის წიგნები, ღირებულნი საერთოდ 11 მანათად. დასასრულ მადლობას ვუძღვნი სკოლის კომიტეტს აზ. კეჟერაძეს და სოფრომ ავალიშვილებს, გლეხთა ნთიმოს ხიჯაკაძეს და ივანე ზუბლაშვილს, სკოლის რიგიანად მოწყობისათვის.

ვარძიის მასწავლებელი ტ. მ. გაჩეჩილაძე

ს. ვარძია

1893 წ.

II

გიგზავნით ამასთანავე ოც-და-ექვსს (26) მანათს, ქ. ირკუტსკში მყოფ ქართველთა შორის მოკრებილს დანიშნულებისამებრ გადასაცემად და გთხოვთ დაბეჭდოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში შემომწირველთა სია:

ნიკო ონანაშვილი 1 მ., ანატოლი გიორგონდოპულო 1 მ., აბრამ მეტერსკი 1 მ., დავით ახმადოვი 1 მ., ყარამან ტუსკია 1 მ., ასლან საბაშვილი 50 კ., კანო მაღაქალოვი 3 მ., იოსებ კახელიძე 1 მ., ვასილ რუსსატოვი 1 მ., სტეფანე გოზალოვი 1 მ., მიხეილ გვახარია 1 მ., სამსონ მგალობლიშვილი 1 მ., ალექსანდრე საიდოვი 50 კ., ბარნაბა ახვლედიანი 1 მ., პავლე პაპოვი 1 მ., მაქსიმე ხალთაძე 1 მ., ალექსანდრე ბაბკოვი 20 კ., გრიგოლ ხაჩატუროვი 1 მ., ივანე სტრიგინი 30 კ., კარაპეტ ტერ-თუმანოვი 1 მ., ნიკო ტატიშვილი 1 მ., სოლომონ ხარაშვილი 50 კ. იაკობ აბაშვილი 2 მ., ირაკლი სულაბერიძე 1 მ., სოსიკო 2 მ., სულ 26 მ. და 35 კ.

ფოსტით გამოსაგზავნად დაიხარჯა—35 კ. დარჩა—26 მ., რომელიც ამასთანავე იგზავნება.

სოსიკო

19-ს თიბათვეს 1893 წ.

ქ. ირკუტსკი.

# დეპეშა

3 აგვისტო

**ვილნა.** გუშინ აქ დაიწყო საარხეოლოგიო მეცხრე კრება. კრების თავმჯდომარემ გრაფინია უვაროვისამ გამოაცხადა, რომ ხელმწიფე იმპერატორმა გვიბოძა კრების „შრომათა“ გამოსაცემად 5,000 მან. და მემკვიდრე ცესარევიჩმა—2000 მანათიო.

**კიევი.** აქ გუშინ დაიწყო კრება ხე-ტყის პატრონთა და მწარმოებელთა. კრებას დაესწრო 100 კაცზედ მეტი. თავმჯდომარედ არჩეულია ვ. ტ. სობიჩევსკი.

**ვენა.** გალიციაში და ვენგრიაში ნიაღვრებმა დიდად დააზარალა მცხოვრებნი. რამდენიმე კაცი დაირჩო.

**პარიჟი.** ვიღაც რევოლუციონერმა გუშინ ორჯერ ესროლა რევოლვერი ლოკრუას, რომელიც ამ დროს საარჩევნო კომიტეტში მიდიოდა. ლოკრუა მარცხენა მკერდში მსუბუქად დაჭრილი.

4 აგვისტო

**პეტერბურგი.** უმაღლესად ნაბრძანებია, ამიერიდგან აღარ იქმნას მიღებული ხაზინაში ვერცხლი და ძველი ფული, ახალ ფულზედ გამოსაცვლელად; აკრძალულ იქმნას აგრედვე რუსეთში შემოტანა ვერცხლისა საზღვარ გარეთიდგან, გარდა ჩინეთის იამბებისა.

**ბერლინი.** „Reichsanzeiger“-ი იუწყება, რომ ბერლინში ავად გახდა სამი პოლშელი მუშა და ხოლერა აღმოჩნდა. მთავრობამ ყოველგვარი ღონისძიება იხმარაო, ამბობს იგივე გაზეთი, და იმედი აქვთ, ხოლერა არ გავრცელდებაო.

პეტერბურგის ბირჟა, 16 ივლისი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გარიგებისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,66 | 7,69 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 152³/₄ | 153³/₄ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | 241¹/₄ | — ,, | — ,, |
| —მეორისა . . . . | 225¹/₄ | — ,, | — ,, |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | 194¹/₄ | — ,, | — ,, |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6%. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | — ,, | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |

## გამოსადეგი ცნობანი

### რკინის გზის მისვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 2 წ. საღ.

. . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 20 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 30 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 20 წ. დილ.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ.

ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

**ბათუმიდამ გადის:**

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე ცალკე გზით, შეივლის ნოვოროსიისკშის რაობივით ღამის 2 საათზე, შორის. გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. სამშაბათობით: დღისით საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკით.

**ბათუმში მოდის:**

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკით.

პარასკეობით: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეივლის.

**ფოთში მოდის:**

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირ, დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალხო ოდესიდგან დღისით.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან, დღისით.

**ფოთიდგან გადის:**

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე,

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლ.ასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც


# განცხადებანი

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა . . . . . | 1 | „ |
| ბაგრატ IV მისივე . . . | „ | 20 |
| ვახტანგ VI მისივე . . . | „ | 15 |
| მიტრიდატ დიდი, პონტის მეფე, მისივე . . . . | „ | 10 |
| მირიან მეფე და წმ. ნინო, მისივე . . . . . . | „ | 10 |
| ქართველი ქალები, მისივე . | „ | 10 |
| სამი ისტორიული ქრონიკა, ე. თაყაიშვილისა . . . | 1 | „ |
| წმ. ნინოს ცხოვრება, მისივე | „ | 40 |
| ბრძოლა საქართველოს მოსასპობლად, ანუ გიორგი სააკაძე, ან. ფურცელაძისა . . . . . . . | 1 | 20 |
| ისტორიული ნარკვევი, ალ. ჰყონიასი. . . . . | 1 | 50 |
| თამარ-მეფე, დ. კარიჭაშვილისა . . . . . . | „ | 15 |
| გუჯრები, ალ. ხახანაშვილისა . . . . . . | „ | 50 |
| ასპინძის ომი, ი. გოგებაშვილისა . . . . . . | „ | 10 |
| საქართველოს გეოგრაფია ვახუშტისა I ნაწ. სამცხე, გამოც. მ. ჯანაშვილისა . | „ | 25 |
| გიორგი ბრწყინვალე, ნ. ურბნელისა . . . . . | „ | 20 |
| ათაბაგნი ბექა და აღბუღა, მისივე . . . . . . | „ | 50 |
| მეგლის დება, მისივე . . | „ | 25 |
| მოკლე საყოველთაო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა . . . . . | 1 | „ |
| საქართველოს საეკლესიო ისტორია მ. ჯანაშვილისა | „ | 45 |

ტფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს საყოველთაო საცნობელად, რომ დღეიდგან, ბ-ნ ტფილისის პოლიციმეისტერთან შეთანხმებით და ბ-ნ ტფილისის გუბერნატორის ნება დართვით, დახურულია მტკვარზედ ჩასავალი გზები ობსერვატორიასთან და მუშთეიდის ბაღთან და ამ ადგილებიდგან მტკვარის წყლის ამოზიდვა აკვეთილია. ამასთანავე ქალაქის გამგეობა საჭიროდა სთვლის აუწყოს ყველას, ვისაც ხელის ჭურჭლით ამოაქვს წყალი მტკვრიდგან, რომ მტკვრის წყალი სასმელად მეტად საშიშია, რადგანაც ამ ბოლოს დროს ქალაქში კუჭით ავადმყოფობა აღმოჩნდა და ეს ავადმყოფობა მდინარის წყალსაც უნდა მიეწეროს. (2—2)

## კბილის ექიმი
# ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევი 2 საათამდე. (150—82)

## მამოსადეგი ცნობანი
# პირველი კერძო სამკურნალო
## ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ყ. მ. ჩიქოანი, 9—10¹/₂ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტაში ტკივილებისა.

ნ. გ. რუდკოვსკი, 10—11¹/₂ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვესა და. დედათა სქესისა.

ი. ф პროტასევიჩი, 11¹/₂—12¹/₂ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის და ცხვირისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1¹/₂ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ი. გ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: თვალის და გულმკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ა. ა. გადომსკი, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი), ხორცის კანის და გარეგანი (ხირურგიული).

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7¹/₂ საათამდის.

ე. ი. ფრანციუსი, 7¹/₂—8 საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

### ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისა.

1) მდგომარე წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში არის სულ ორმოცდა ერთი (41) ვაკანსია: პირველს განყოფილებაში—31 (7 და 8 წლის ყმაწვილებისათვის), მეორე განყოფილებაში—2 (8 და 9 წლ. ყმაწვ.), მესამე განყოფილებაში—4 (9 და 10 წლ. ყმაწვ.) და მეოთხეშიაც—4 (10 და 11 წლ. ყმაწვ.). პროგიმნაზიულ კლასებში არც ერთში არ არის თავისუფალი ადგილი.

2.) 41 ვაკანსიისაგან 37 არის დანიშნული გარედან მოსიარულეებისათვის და ოთხი (4) პანსიონში—ტფილისის გუბერნიის ღარიბ თავად-აზნაურთა შვილებისათვის. ამ ოთხს ვაკანსიაში სამი (3) არის საზოგადოების სრულს ხარჯზე და ერთი (1) ნახევარს ხარჯზე.

3.) ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზე იქნება მიღებული, იმას არავითარი ხარჯი არ მოეთხოვება სწავლა-აღზრდისათვის; ხოლო მათ, რომელნიც მიღებულნი იქმნებიან საზოგადოების ნახევარ ხარჯზე, უნდა შემოიტანონ წელიწადში ათი თუმანი—ნახევარი შემოსვლისათანავე და ნახევარი იანვარში.

გარედან მოსიარულეს გარდახდება წელიწადში სწავლის ფასი თორმეტი მანათი—ექვსი ენკენისთვეში და ექვსი იანვარში.

4.) ვისაც ჰსურს მიღებულ იქმნას საზოგადოების სრულს ხარჯზე, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი დოკუმენტები: ა) წლოვანობის (ნათლობის) მოწმობა, ბ) სიღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისგან, გ) მოწმობა ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკიდან, რომ იგი ირიცხება ხსენებულის ბანკის დამფუძნებელთა შორის, დ) ყვავილის აცრის მოწმობა.

5) ვისაც ნახევარს ხარჯზედ ჰსურს შემოსვლა აწ გარედ მოსიარულედ, მისთვის საჭიროა იგივე დოკუმენტები, თვინიერ ბანკის მოწმობისა. გარედან მოსიარულეთათვის აუცილებლად საჭიროა წლოვანობის მოწმობა და ყვავილის აცრისა.

6) უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატა ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველნი მიშვებულ იქმნებიან წილის ყრით. წილისყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ ყველა საჭირო დოკუმენტებს და ამასთანავე ეკზამენსაც დაიჭერენ წლოვანობის შესაფერ კლასისათვის.

7) ვინაიდგან პანსიონში შემომსვლელთათვის მცირეა ვაკანსიების რიცხვი და მსურველი-კი ბევრია, სკოლის გამგე კომიტეტი იძულებული იქმნება დაითხოვოს ის პანსიონერები, რომლებზედაც წინა წლის ფულია დარჩენილი, იმისთვის-რომ ადგილი დაუცალოს ახლად შემომსვლელებს. ამიტომ სკოლის მთავრობა სთხოვს მშობლებს, რომელთაც სრულად არა აქვს შემოტანილი სწავლა-აღზრდის ფასი, რომ უთუოდ შემოიტანიან პირველის ენკენისთვისათვის, რაც არის მათზე დარჩენილი, თორემ მათი შვილები დათხოვნილ იქმნებიან პანსიონიდან.

8) შესაძლებელია მარიამობის თვეში, მოწაფეების ხელმეორე გამოცდის შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულს საკუთარს ხარჯზე ისურვებს პანსიონში შემოსვლას ან ნახევარს ხარჯზე. ვინც საკუთარს ხრჯზე შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანს წელიწადში, ოცი თუმანი—ათი შემოსვლისათანავე და ათი იანვარში.

9) თხოვნა უნდა შემოვიდეს მარიამობისთვის 26 რიცხვამდის. ქალაქს გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით Въ Тифлисъ. Инспектору Тифлисской Дворянской школы, на Лабораторной ул. въ д. Гургенбекова.

10) მარიამობისთვის 26, 27 და 28 რიცხვებს მოხდება მისაღები ეკზამენები და ხელმეორე გამოცდა ზოგიერთ მოწაფეებისა. პირველს ენკენისთვეს დაიწყება სწავლა.

დათხოვნილნი იქმნებიან ეგრეთვე ის პანსიონერებიც, რომელნიც სკოლში მოსვლისათანავე არ წარმოადგენენ მომავალის $18^{93}/_{94}$ სასწავლო წლის ფულის ნახევარს (4—21).


Доз. ценз. Тифлисъ, 4-го Августа 1893 г.

სტამბა მ. შარაძისა

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე